



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



MA course: Applying Educational Technologies in Teaching and Learning

Unit 6: Assessment

სამაგისტრო კურსი: საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში

ნაწილი 6: შეფასება

6.4.4. ღია ციფრული სამკერდე ნიშნები

ტერმინები: ღია სამკერდე ნიშნები, ციფრული სამკერდე ნიშნები და საგანმანათლებლო სამკერდე ნიშნები - გამოიყენება როგორც სინონიმები. თუმცა, ღია სამკერდე ნიშნები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ციფრული სამკერდე ნიშნები და საგანმანათლებლო სამკერდე ნიშნები. ციფრული სამკერდე ნიშნები და, ასევე, საგანმანათლებლო სამკერდე ნიშნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, დახურულ სასწავლო გარემოშიც. ღია სამკერდე ნიშნები გამოხატავს ხედვას, რომლის მიხედვითაც ისინი უკავშირდება ღია განათლების ფილოსოფიას და ხილვადი და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ზოგიერთი მკვლევარი ამჯობინებს, ღია ციფრული სამკერდე ნიშნების კონცეფცია გამოიყენოს მხოლოდ ციფრულის მნიშვნელობით, რადგან ისტორიულად არსებობს სამკერდე ნიშნები (სკაუტები), რომლებიც არ არის ციფრული. „ღია ციფრული სამკერდე ნიშნები“, ან სინონიმურად, მისი შემოკლებული ვერსია - ღია სამკერდე ნიშნები, მიუთითებს იმაზე, რომ იგი არის ღია და ხილვადი ყველასთვის და არ გამოიყენება მხოლოდ დახურულ გარემოში; ამასთანავე, ის არის ციფრული, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მათი გაზიარება ციფრულ გარემოში.

ღია ციფრული სამკერდე ნიშნები განსაკუთრებით გამოიყენება, როგორც განმავითრებელი შეფასების პროცესის ნაწილი, რომლის მეშვეობითაც ხდება მუდმივი უკუკავშირი და თვალყურის მიდევნება იმაზე, თუ რის შესწავლა მოხდა.

სამკერდე ნიშნებს შეუძლია ხელი შეუწყოს შეფასების ახალი ტიპების შექმნას და უზრუნველყოს მსწავლელის უფრო მეტად პერსონიფიცირებული შეფასება

მოდველებული, ან არარელევანტური ტესტირების პრაქტიკის ნაცვლად. მაგალითად, ღია სამკერდე ნიშნების სისტემა ხელს უწყობს შეფასებას მრავალ კონტესტში, მათ შორის, კურსის ორგანიზატორების მიერ შეფასებას, მსწავლელთა ურთიერთ- შეფასებასა და თვითშეფასებას. ამგვარი მოქნილი და ქსელური ბუნება მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა სამკერდე ნიშნების მოსაპოვებლად. ეს კი სისტემას უფრო მოქნილს ხდის, რაც უზრუნველყოფს თითოეული მსწავლელის საჭიროებების დაკმაყოფილებას და ამცირებს სწავლის ცალკეული მიმართულების შეზღუდვებს. სამკერდე ნიშნები იძლევა ურთიერთშეფასების შესაძლებლობას, პერსონალური ნარატივის შექმნის მეთოდს და კონკრეტული ცოდნის მქონე ადამიანების მოძიების საშუალებას ჩვენი მზარდი ონლაინ თემის ფარგლებში (პეტრიაშვილი, სამსონია, ახალაძე, მიქელაძე, ნუტოვ, ლიპეკ და სხვები, 2020: 2-3)

ციფრული სამკერდე ნიშნები არის ციფრული ვიზუალური ჯილდოები არამატერიალური ამოცანების, კომპეტენტურობების შესრულებისათვის, რომლებიც ასახავენ, ადამიანის სიცოცხლის მანძილზე შეძენილი ცოდნის ტრაექტორიას. ისინი შეიძლება ეხებოდეს, ავტონომიურ ან დადგენილ სწავლის გზებს და ენიჭება ჯგუფების, ინსტიტუტების, ან ორგანიზაციების მიერ.

ამგვარად, ღია ციფრული სამკერდე ნიშნები უზრუნველყოფს შეფასების უნიკალურ ფორმებს, რომლებიც შეიძლება იყოს:

- გამჭვირვალე/ტრანსფარენტული (იმის გამო, რომ კონკრეტული კრიტერიუმები გამოქვეყნებულია);
- მტკიცებულებებით გამყარებული (ზოგიერთსამკერდე ნიშანს „მიბმული“ აქვს პროდუქტები, რომლებიც ახდენენ ნასწავლის დემონსტრირებას, მსგავსად ციფრული პორტფოლიოსი);
- აღიარებს და ვიზუალურს ხდის კონკრეტული სამუშაო ადგილისთვის საჭირო უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა სწავლა და არც შეფასება არ ხდება ფორმალურ გარემოში;
- მოქნილი (ტრანსკულტურულიც კი, რომელიც მოიცავს ტრანსნაციონალური საზოგადოების პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს);
- გრანულარული (შესაძლებელია ზედმიწევნით კონკრეტული უნარების და ცოდნის მიზანში ამოღება/ტარგეტირება) და, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ზოგ შემთხვევაში მოხდეს „საერთო შეფასებები“, რომ სამკერდე ნიშნის გამცემმა უფლებამოსილმა პირებმა ღიად მიაწოდონ უკუკავშირი/ფიდბეკი სამკერდე ნიშნის კრიტერიუმებსა და დიზაინის ასპექტებზე არსებული საზოგადოებრივი პრაქტიკიდან. ამ მხრივ, სამკერდე ნიშანი შეიძლება იყოს რელევანტური ექსპერტების „ერთობლივი წყაროდან“ მიღებული.

სამკერდე ნიშნები გამოიყენება კომპლექსური პროცესების სერტიფიცირებისთვის, ან ისეთი უნარების დასადასტურებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ჩვენს ტრადიციულ შეფასების სიტემაში, როგორცაა, მაგალითად: ინტერპერსონალური უნარები, თანამშრომლობის უნარები, წარმოსახვა, ინოვაცია, ინიციატივა, დამოუკიდებლობა, რაც ღირებულია დამსაქმებლისთვის და არ არის ასახული

ტრადიციულ შეფასების სისტემაში. კარგი დიზაინის და ძლიერი სამკერდე ნიშნები ასოცირდება სწავლის მნიშვნელოვან პროინციპებთან და მასწავლებელთა კონკრეტული ინტერესების მოტივაციასთან, რადგან მათ თან სდევს ღრმა და ხანგრძლივი ცოდნა: კონტექსტუალური სასწავლო სიტუაციები, (სიტუაციური სწავლა და შემეცნება); ხარაჩოს ფუნქციის შესრულება სწავლის მთელ ტრაექტორიაზე; ან სოცალურად კონსტრუირებული/მედიაციური სწავლა, განსაკუთრებით „შეკრულ“ გარემოში, რაც ეხმარება და ხელს უწყობს შინაარსს ან შინაარსთან დაკავშირებულ უნარებს; თანამონაწილეობითი სწავლა; მოტივაციური და ინტერესებზე დამყარებული სწავლა; მიმდინარე, განმავითარებელი უკუკავშირი/ფიდბეკი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასება; „ვიზუალური“ სასწავლო მიმართულებების შექმნა, რომლებიც ახალისებს რეფლექსიას, თვითრეგულაციასა და ავტონომიურობას, ასევე,- სოციალური კაპიტალის შექმნას, თვითშეფასებას და ეფექტიანობას.

ისინი ხელმისაწვდომია ინტერნეტში, შეიცავენ მეტ მონაცემებს (მაგ. ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმები, პროცესი და განხორციელებული შედეგი), რომელიც ადასტურებს შეძენილ უნარ-ჩვევებს და აღიარებს უკვე არსებულ ცოდნას. ზოგიერთი სამკერდე ნიშანი არის სწავლის სერთიფიკატი დახურულ სისტემაში, მაგრამ მათი უმეტესობა ღიაა და მათი მეტი მონაცემების გადატანა შესაძლებელია სხვა სისტემებში.

მათ ასევე შეუძლიათ დაეხმარონ სტუდენტთა ელექტრონული პორტფოლიოს შექმნაში და წარმოადგინონ მათი ინტერესების, მიღწევების, კომპეტენტურობების და გამოცდილების პროფილი, რომელიც შეიძლება იყოს გამჭვირვალე მეტამონაცემების მეშვეობით და სისტემატიურად შეფასდეს. ამგვარად, ისინი წარმოადგენენ მთელი ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნის დოკუმენტურად ასახვის საშუალებას, რითაც სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე პედაგოგები.

ციფრული სამკერდე ნიშნები აწვდის ინფორმაციას ოფიციალური, არაოფიციალური და თავისუფალი, მიღებული განათლების შედეგად მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. იზრდება მოთხოვნა მსუბუქ აკრედიტაციაზე, რადგან სტუდენტები ეძებენ აღიარებას მათი თავისუფალი სასწავლო აქტივობების შესახებ. ციფრული სამკერდე ნიშნები, გვთავაზობენ ასეთ სიგელებს და ისინი უკვე გამოიყენება აპლიკაციებში: თანამშრომელთა დაქირავების, პროფესიული მომზადების, ადამიანური რესურსების ტრენინგის პროგრამებში, თავისუფალ სწავლებაში და სხვა მრავალი მიზნებისთვის.

ციფრული სამკერდე ნიშნების უპირატესობები

არსებობს მტკიცებულება, რომ ციფრულ სამკერდე ნიშნებს შეუძლიათ გადალახონ ტრადიციული კურსების შეფასების გამოწვევები, რადგან მათ შეუძლიათ ამოიცნონ მრავალფეროვანი სასწავლო ტრაექტორიები და კომპეტენტურობები, რომლებიც

ადრე არ იყო აღიარებული, როგორცაა 21-ესაუკუნის უნარები და სოციალური უნარ-ჩვევები.

ისინი წარმოჩინდნენ როგორც გამოხმაურება რევოლუციაზე, ელექტრონულ სამყაროში; ცვლიან მიღწევების შეფასებებს, გამოცდებიდან პერსონალიზებულ მიღწევებზე. გარდა ამისა, სამკერდე ნიშანს შეუძლია შეაერთოს ოფიციალური და თავისუფალი სწავლის პროცესი, რადგან მას შეუძლია გააძლიეროს სწავლის შედეგები ტრადიციული სამაგისტრო პროგრამებიდან.

ციფრულ სამკერდე ნიშნებს შეუძლიათ გაზარდონ წარმატების მიღწევის მოლოდინი, რადგან ისინი აჯილდოებენ არამხოლოდ მიღწევებს, არამედ ჩართულობას აფექტური, ქცევითი და შემეცნებითი ინდიკატორების მეშვეობით და მოქმედებენ როგორც შინაგანი და გარეგანი მოტივატორები.

მტკიცებულება ეფექტურობის შესახებ

კვლევა მიუთითებს, რომ ციფრული სამკერდე ნიშნები დადებით გავლენას ახდენენ სტუდენტთა მონაწილეობაზე. სამკერდე ნიშნების სისტემით მონაწილეები, ხუთჯერ მეტად იღებდნენ მონაწილეობას (კენჭისყრაში, კითხვების დასმასა და კითხვებზე პასუხის გაცემაში) სამკერდე ნიშნების სისტემის გარეშე ჩატარებულ კურსებთან შედარებით. სხვა კვლევის თანახმად, სტუდენტები, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა სამკერდე ნიშნების სისტემაზე, მნიშვნელოვნად უფრო მეტად იყვნენ ჩართული ონლაინ სწავლების ხელსაწყო გამოყენებაში (თანატოლების აზრით) და უპასუხეს უფრო მეტკითხვას, ვიდრე მათ, ვისაც არ ჰქონდა წვდომა სამკერდე ნიშნებზე.

ასე რომ, სტუდენტთა მონაწილეობა უფრო მაღალი იყო სამკერდე ნიშნების სისტემით ჩატარებულ კურსებში, ვიდრე მათ გარეშე. სამკერდე ნიშნები დადებითად მოქმედებენ მონაწილეობაზე, ინტერაქციაზე ონლაინ გარემოში და მოტივაციაზე.

ღია სამკერდე ნიშნები გამოიყენება იმისათვის, რომ:

- 1) კურსის განმავლობაში მოხდეს დაკვირვება სტუდენტების მიღწევებსა და მათ ინდივიდუალურ პროგრესზე;
- 2) სწავლა გახდეს უფრო მეტად კონკრეტული და ვიზუალურად გაზომვადი;
- 3) სტუდენტებმა შეძლონ უფრო მეტად თვითრეფლექსია საკუთარი სწავლის პროცესზე, დაეხმაროს მათ მოახდინონ საკუთარი სიძლიერისა და სისუსტის იდენტიფიცირება და, ამგვარად, ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლას;
- 4) მოხდეს სტუდენტების მოტივირება, რაც ნამდვილად გაზარდის სწავლებისა და სწავლის ხარისხს;
- 5) გაძლიერდეს სტუდენტების თვითრეგულირებადი სწავლის უნარები.

უფრო მეტიც, ციფრული ინსტრუმენტები, როგორცაა ღია სამკერდე ნიშნები, შეიძლება თანაბრად იქნეს ინტეგრირებული როგორც დისტანციურ სასწავლო კურსებში, ისე პირისპირ, უფრო ტრადიციულ სასწავლო ფორმატში.

ღია სამკერდე ნიშნების სისტემა გვეხმარება, მივიღოთ თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური პროფილი კურსის ბოლოს ციფრული სამკერდე ნიშნების შეგროვების გზით, რომელიც ასახავს ყველა კონკრეტულ უნარსა და ცოდნას, რაც ემყარება სასწავლო შინაარსს. სტუდენტებს ენიჭებათ კონკრეტული სამკერდე ნიშნები გარკვეული სასწავლო თემის, ან დავალების დასრულების შემდეგ. კურსის ბოლოს, ჩვენი აზრით, სამკერდე ნიშნები შეიძლება შეგროვდეს და გაზიარებული იქნეს სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე. მაგალითად, სოციალურ მედიაში ან ელექტრონულ პორტფოლიოში. გარდა ამისა, სამკერდე ნიშნების დაგროვება გავლენას ახდენს სტუდენტის საბოლოო შეფასების ქულაზე.

ღია სამკერდე ნიშნები არის:

- უფასო და ღია: მოზილას ღია სამკერდე ნიშნები არ არის დაპატენტებული. ეს არის უფასო სოფტი და ღია ტექნიკური სტანდარტი, რომლის გამოყენებაც შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას ციფრული სამკერდე ნიშნების შესაქმნელად, გასაცემად და დასადასტურებლად;
- ტრანსფერული: ღია სამკერდე ნიშნების გადატანა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას. მსწავლელს შეუძლია დააგროვოს სამკერდე ნიშნები მრავალი წყაროდან- ონლაინ და ოფლაინ და თავი მოუყაროს მათ ერთ ვირტუალურ „ზურგჩანთაში“. მსწავლელს შეუძლია თავისი უნარები და მიღწევები გამოაჩინოს ბლოგებზე, სოციალურ ქსელურ პროფილებში (გუგლ+, ტვიტერი, ლინქდინ, ან ფესიბუკი), დასაქმების საიტებზე, CV-ში, ვებსაიტებზე და სხვა;
- დაგროვებადი: როგორც მიკროსერთიფიკატები, სამკერდე ნიშნები შეიძლება გაიცეს დამსაქმებლებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ. მსწავლელის მიერ მათზე წვდომა და მათი გამოყენება მოქნილია. მიუხედავად იმისა, ერთი ორგანიზაციის მიერაა გაცემული თუ მრავლის, სამკერდე ნიშნები შეიძლება დაემატოს ერთმანეთს და დაგროვდეს მსწავლელის უნარებისა და მიღწევების სრული სურათის წარმოსაჩენად;
- მტკიცებულებაზე დამყარებული: ღია სამკერდე ნიშნები ინფორმაციით არის დატვირთული. თითოეულ სამკერდე ნიშანს აქვს მეტამონაცემები, რომლებიც კოდირებულია თავად სამკერდე ნიშნის იმიჯფაილში, რომელიც უკავშირდება გამცემს, კრიტერიუმებსა და დამადასტურებელ მტკიცებულებებს: - სამკერდე ნიშნის სახელი, გაცემის დადასტურება, გაცემის თარიღი, სამკერდე ნიშნის ვალიდურობის ვადა, სტანდარტები და რეფერენციები.

გამოყოფენ ღია სამკერდე ნიშნების ოთხ ძირითად ფუნქციას:

- სწავლის აღიარება-ეს არის სამკერდე ნიშნების ყველაზე აშკარა და უპირველესი ფუნქცია;

- სწავლის შეფასება-ღია სამკერდე ნიშნების თითქმის ყოველი გამოყენება შეიცავს შეფასებას რაღაც ფორმით;
- მსწავლეების მოტივირება-სამკერდე ნიშნების ირგვლივ არსებობს ბევრი შემფოთება და მოწონება მოტივაციის იდეასთან დაკავშირებით;
- მსწავლელის შეფასება-ღია სამკერდე ნიშნებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი მასწავლებლებს, სკოლებსა და პროგრამებს დაეხმაროს შეფასებაში.

უფრო ვრცლად ღია ციფრული სამკერდე ნიშნების შესახებ იხილეთ ვირკუსის (2018) მიმოხილვა განათლებაში, მათ შორის, შეფასებაში ღია სამკერდე ნიშნების გამოყენების შესახებ. <https://drive.google.com/drive/folders/1y8h99b3fzBUm>

ინტერუმენტის აღწერა

ღია ციფრული სამკერდე ნიშნები (ODB) - ესაა ვიზუალური სიმბოლოები, რომლებიც წარმოადგენს მიღწევების ვალიდურ ინდიკატორებს და ინფორმაციას გვაწვდის მონაცემებითა და მტკიცებულებებით გამყარებული ცოდნისა და უნარების შესახებ, რომელთა გაზიარებაც შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით. ღია ციფრული სამკერდე ნიშნები საშუალებას აძლევს მათ მფლობელებს თან ატარონ ის, რაც ისწავლეს, სადაც არ უნდა წავიდნენ და, შექმნან მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მდიდარი ისტორია (<https://openbadges.org/>).

ვებინარი:



გაგება,

შეფასებამკვლევარი: ინფორმაცია, უნარებიფასილიტატორი:მოზფესტი 14

რატომ უნდა მოვიპოვოთ ღია სამკერდე ნიშნები?

- ღია სამკერდე ნიშნები არის ყველასთვის, რათა აღიარებული იქნას სხვადასხვა გამოცდილების მეშვეობით შეძენილი უნარები;
- მსწავლელს შეუძლია შექმნას თავისი სამკერდე ნიშნების უნიკალური კოლექცია და გააზიაროს ის ინტერენტის საშუალებით;
- თითოეული სამკერდე ნიშანი პორტაბელური იმიჯის სახით შეიცავს მონაცემებს სტუდენტის უნარებისა და გამცემი ორგანიზაციის შესახებ.

სტუდენტს შეუძლია გააზიაროს თავისი სამკერდე ნიშნები:

- ბლოგების, ვებგვერდების, ელ-პორტფოლიოსა და პროფესიული ქსელების საშუალებით;
- განაცხადებაში სამსახურის თაობაზე;

- სოციალური მედიის საშუალებით: ტვიტერი, გუგლი+ , ფეისბუკი, ლინკდინი; ელ-ფოსტის ხელმოწერაშიც-

როგორ დავიწყოთ?

- ღია სამკერდე ნიშნების გამცემი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ონლაინ სივრცეს მსწავლელის სამკერდეების განსათავსებლად და გასაზიარებლად.
- არსებობს ასევე უფასო სერვისი - ე.წ. Backpacks (ზურგჩანთა) ნებისმიერისთვის, ვინც მოიპოვებს სამკერდე ნიშნებს.
- Backpack შესაძლებლობას აძლევს მსწავლელს შეინახოს და განათავსოს თავისი სამკერდეები სხვადასხვა პლატფორმაზე, რომელზეც იღებენ ამ სამკერდე ნიშნებს.
- მოზილამ შექმნა პირველი „ზურგჩანთა“ ღია სამკერდეებისთვის, რომელიც ინტეგრირებულია სამკერდე ნიშნების გამცემ სხვა მრავალ პლატფორმაზე.

ღია სამკერდე ნიშნების ტიპები

არსებობს მრავალი ტიპის ღია სამკერდე ნიშანი:

- სწავლის შედეგზე დამყარებული სამკერდე ნიშნები:
 - საბაზისო ცოდნის სამკერდე ნიშნები;
 - უნარების სამკერდე ნიშნები;
 - მაღალი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სამკერდე ნიშნები.
- მრავალდონიანი სამკერდე ნიშნები - მაგ.: რეგულარული სამკერდე ნიშნები, ოქროს სამკერდე ნიშნები, ვერცხლის, ბრინჯაოს)
- სწავლის მრავალი მიმართულების აღმნიშვნელი (მკვლევარი, პრაქტიკოსი, ვიკიპედისტი);
- „გატეხილი/დამსხვრეული“ სამკერდე ნიშნები გამოიყენება არასასურველი ქცევის შემთხვევაში (მაგ. დავალებების დაგვიანებით შესრულება);
- დანაწევრებული სამკერდე ნიშნები: დიდი სასწავლო აქტივობები შეიძლება დაიყოს ცალკეულ დამოუკიდებელ „ბეჯებად“ (მაგ. თანატოლების მიერ შეფასების; „ბეჯი“ ლიტერატურის მიმოხილვის დავალებისთვის...).

მასწავლელის თვალსაზრისი ღია სამკერდე ნიშნებზე

მასწავლელს:

- დახმარებას უწევს სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მსწავლელს (მაგ., აქტივისტს, რეფლექტურად მოაზროვნეს, თეორეტიკოსს, პრაგმატისტს;
- ეხმარება განსაზღვროს თავისი სასწავლო მიზნები და დაგეგმოს სწავლის სტრატეგიები (დადოს ე.წ. სასწავლო კონტრაქტი);
- შეუძლია თავად აირჩიოს სწავლის გზები;
- შეუძლია შექმნას სასწავლო საგნები;
- შეუძლია დაწეროს ლიტერატურული ტექსტის ანალიზი, ან ესსე;
- შეუძლია შექმნას პოდკასტები, ვიდეოები და სხვა;
- შეუძლია გამოიყენოს თვითშეფასებისთვის.

ღია სამკერდე ნიშნები, სწავლის განსხვავებული გზები და „სასწავლო კონტრაქტები“ ქმნის საგანმანათლებლო ინსტრუმენტების სამკუთხედს, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს მათი ერთდროულად გამოყენებისას.


ღია სამკერდე ნიშნების ბენეფიტები/სარგებლიანობა:

- ღია სამკერდე ნიშნები ატარებს სამკერდე ნიშნისთვის აუცილებელ ინფორმაციას შეფასების, მტკიცებულებისა და სხვა მეტა-მონაცემების შესახებ.

ღია სამკერდე ნიშნებს

- შეუძლია პოტენციურ დამსაქმებელს ამცნოს მისი მფლობელის მიღწევების შესახებ;
- ახალისებს ჩართულობასა და თანამშრომლობას;
- აუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნას;
- ხელს უწყობს საჭირო უნარების ინოვაციასა და მოქნილობას;
- ქმნის და ფორმალიზებას უკეთებს პიროვნებასა და მის რეპუტაციას სასწავლო საზოგადოებაში;
- სამკერდე ნიშნები გვთავაზობს ახალ, ტრადიციული, ფორმალიზებული აკადემიური გზებისგან განსხვავებულ გზებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისას;
- სამკერდე ნიშნები ხაზს უსვამს და აღიარებს ცოდნასა და უნარებს, რომლებიც შეძენილია პირადი ინიციატივისა და კვლევის შედეგად;
- სამკერდე ნიშნებს შეუძლია ჯგუფურ მუშაობაში სოციო-ემოციური (ე.წ., „რბილი“) უნარების გაზომვა, რაც დღევანდელ დღეს უმნიშვნელოვანესია წარმატების მისაღწევად მრავალ პროფესიაში.

ღია ციფრული სამკერდე ნიშნების ანატომია



- სამკერდე ნიშნის სახელი
- აღწერა
- კრიტერიუმები
- გამცემი პირი/ორგანიზაცია
- მტკიცებულება
- გაცემის თარიღი
- სტანდარტები
- Tags/ტეგები
- მიმღების ვინაობა
- ვადის ამოწურვის თარიღი
- დამადასტურებელი ბმული
- გრაფიკული დიზაინი

ღია სამკერდე ნიშნების გამოყენების მაგალითები MOODLE-ზე

- ცოდნაზე დამყარებული სამკერდე ნიშნები;
- უნარებზე დამყარებული სამკერდე ნიშნები;

- მრავალდონიანი სამკერდე ნიშნები (მაგ. რეგულარული სამკერდე ნიშნები, სამკერდე ნიშნები- ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს);
- ღია სამკერდე ნიშნების შესაქმნელი ინსტრუმენტები: <https://www.openbadges.me>
- ღია სამკერდე ნიშნების „ზურგჩანთა“ : Mozilla Backback

ანალიტიკური უნარების ღია ციფრული სამკერდე ნიშნები


პროექტ ASSET-ის კონტექსტში **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ღია სამკერდე ნიშნების ჯგუფმა** შეიმუშავა 5 ტიპის ანალიტიკური უნარების განვითარების მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს სამკერდე ნიშნებით შეფასების პროცესის მხარდაჭერას. ამ მოდელის სიძლიერე მდგომარეობს მეტრიკების ერთობლიობაში, რომელიც ყურადღებით არის შემუშავებული კონკრეტული პრაქტიკული გამოყენების შემთხვევებისთვის, ცნობილი პედაგოგიური მიდგომების შესაბამისად. მეტრიკა სტუდენტთა ძალისხმევის გაზომვისა და იმ პროცესზე თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა, რომელიც ანალიტიკური აზროვნების კომპეტენციების განვითარების მიზნით აფართოებს სტუდენტთა ემოციურ-ინტელექტუალურ (რბილ) უნარებს.

5 ტიპის ანალიტიკური უნარების განვითარების მოდელი ასე გამოიყურება:

1. **კომუნიკაცია** - ძლიერი ანალიტიკური უნარების ქონა არაფერს ნიშნავს, თუ არ შეგიძლია სხვებს გაუზიარო შენი ანალიზი.
2. **კრეატიულობა** - ინფორმაციის გაანალიზება მოითხოვს „შემოქმედებითი თვალის“ დევნებას იმ მონაცემების ტენდენციებზე, რომლებსაც სხვები ვერ პოულობენ/ამჩნევენ.
3. **კრიტიკული აზროვნება** - კრიტიკული აზროვნება აუცილებელია ძლიერი ანალიტიკური უნარების ფლობისთვის.
4. **მონაცემთა ანალიზი** - არ აქვს მნიშვნელობა, რა არის თქვენი კარიერული სფერო, ანალიზის კარგად ცოდნა ნიშნავს მონაცემთა დიდი მოცულობის შესწავლას და ამ მონაცემებიდან ტენდენციების დადგენას.
5. **კვლევა** - თქვენ უნდა გაიგოთ მეტი პრობლემის შესახებ, სანამ მას გადაწყვეტთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ჯერ უნდა შეაგროვოთ მონაცემები ან ინფორმაცია, სანამ გაანალიზებთ.

შემდეგ საფეხურზე, აღნიშნული ტიპების მიხედვით, დავაჯგუფეთ ანალიტიკური უნარები.

მოგვიანებით კი თითოეული ამ უნარისთვის შევქმენით ღია ციფრული სამკერდე ნიშნები და დავიწყეთ მათი გამოყენება ჩვენს სტუდენტებთან.



კომუნიკაცია	კრეატიულობა	კრიტიკული აზროვნება	მონაცემთა ანალიზი	კვლევა

ბიბლიოგრაფია:

- არენდიბ.დ. (2017). კურსის შეფასების ინსტრუქციები და სტუდენტების სწავლის პროცესის სტრატეგიები ონლაინკურსებში. ასინქრონული სასწავლო ქსელების ჟურნალი, 11(4), 3-17.
- მაკლუგლინქ ,&ლუკა, ჯ (2016). საუკეთესო დადგენილი წესი ონლაინ შეფასებისას: პრინციპები, პროცესები და შედეგები. საგმედია + ინოვაციური სწავლება (გვ. 2375-2382). ასოციაცია განათლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებისთვის აგტგ (AACE).
- მაკლუგლინქ ,&ლუკა, ჯ (2016). საუკეთესო დადგენილი წესი ონლაინ შეფასებისას: პრინციპები, პროცესები და შედეგები. საგმედია + ინოვაციური სწავლება (გვ. 2375-2382). ასოციაცია განათლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებისთვის აგტგ (AACE).
- ნაითს (2009). *ეფექტური პრაქტიკა ციფრულ ეპოქაში. გზამკვლევი ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლისა და სწავლებისთვის*. უმაღლესი განათლების და ფინანსების საბჭო ინგლისისთვის (HEFCE).
- კაპსალისი, გ., ფერარი, ა., პუნე, ი., კონრადსი, ჯ., კოლადო, ა., ჰოტულანენი, რ., ... დაილსლი, პ. (2019). *ინოვაციური შეფასების მტკიცებულება: ლიტერატურის მიმოხილვა და შემთხვევის შესწავლა*. ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების სამსახური.
- ორლანდოჯ. (2011). *როგორ შევაფასოთ ეფექტურად ონლაინ სწავლების პროცესი*. მედისონი, ვი: მაგნაპაბლიქეიშენს.
- კონრადი, დ, &ოპენო.ჯ. (2018). *ონლაინ სწავლების შეფასების სტრატეგიები: ჩართულობა და ავთენტურობა*. ათაბასკა: ათაბასკის უნივერსიტეტის პრესა ოდიფილდა. ბროდფუდპ, სარზერლენდრ, &თიმისს.. (2012). *შეფასება ციფრულ ეპოქაში: კვლევის მიმოხილვა*. ბრისტოლი: ბრისტოლის უნივერსიტეტი.
- ვესტსაიზენდ. 2016). *სახელმძღვანელოები ონლაინ შეფასებისთვის პედაგოგებისთვის*. ბრიტანული კოლუმბია: განათლების თანამეგობრობა.
- ვეიმ, &სოსულსკი, კ (2018). *ონლაინ კურსის შექმნის საფუძვლები: სტანდარტებზე დაფუძნებული გზამკვლევი*. ნი:როუტლიჯი
- მოსწავლეთა შეფასება. ანჯელოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ბლოგი. https://www.angelo.edu/faculty-and-staff/instructional-design/online-teaching/section_62.php
- პეტრიაშვილი, სამსონია, ახალაძე, მიქელაძე, ნუტოვ, ავად, ვირკუს, ლეპიკ, კვარაცხელია და ა. შ. (2020) იზაბელა პეტრიაშვილი, ირინა სამსონია, ლია ახალაძე, დიანა მიქელაძე, ლიორა ნუტოვ, იასერ ავად, სირიე ვირკუს, აირა ლეპიკ, კატერინ ო'მაჰონი, მანუელ ფოერსტერ, იულიან კლაუს ღია ციფრული სამკერდე ნიშნები. თბ., 2020.

- ჰაინრიხს, ფოერსტერ, კლაუს, ალთ, აბრამოვიჩი (2020) - კარინ ჰაინრიხს მანუელ ფოერსტერ, ჯულიან კლაუს, დორით ალთ, ანატ აბრამოვიჩი ცნების რუკები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2020.
- ალთი და სხვები... (2020) - დორით ალთ, ნირიტ რეიჩელ, მაკა მურვანიძე, მარინე გოგნელაშვილი, ქერინ ჰეინრიხს, რეიჩელ იჩლერ, არიელა გორდონ შააგ, ანატ აბრამოვიჩ, მარიან მაკქართი, ურთიერთშეფასება.
- პელეგრინო, ჯ.ვ. (2010). შეფასების სისტემის დიზაინი მწვერვალზე ასვლისთვის: სასწავლო მეცნიერებების პერსპექტივა ზრდისა და გაზომვის საკითხებზე. პრინსტონი: საგანმანათლებლო ტესტირების სამსახური.
- პერიტ. ე. (1997). სასწავლო პასუხების ჟურნალი: შეფასების ინსტრუმენტი. ინგლისური ჟურნალი, 86 (1), 41–44.
- ვალინ პ., ადავი ტ. (2017). რეფლექსიური დღიური, როგორც თვითრეგულირებადი სწავლის განმავითარებელი შეფასების მეთოდი. განათლების ევროპული ჟურნალი, DOI: 10.1080/03043797.2017.1290585

Bibliography

- Arend, B. D. (2017). Course assessment practices and student learning strategies in online courses. *Journal of Asynchronous Learning Networks*, 11(4), 3-17.
- McLoughlin, C., & Luca, J. (2016). Best practice in online assessment: Principles, processes and outcomes. In *EdMedia+ Innovate Learning* (pp. 2375-2382). Association for the Advancement of Computing in Education (AACE).
- McLoughlin, C., & Luca, J. (2016). Best practice in online assessment: Principles, processes and outcomes. In *EdMedia+ Innovate Learning* (pp. 2375-2382). Association for the Advancement of Computing in Education (AACE).
- Knight, S. (2009). *Effective Practice in a Digital Age. A Guide to Technology-Enhanced Learning and Teaching*. Higher Education Funding Council for England (HEFCE).
- Kapsalis, G., Ferrari, A., Punie, Y., Conrads, J., Collado, A., Hotulainen, R., ...&Ilsley, P. (2019). *Evidence of innovative assessment: Literature review and case studies*. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- Orlando, J. (2011). *How to Effectively Assess Online Learning*. Madison, WI: Magna Publications.
- Conrad, D., & Openo, J. (2018). *Assessment Strategies for Online Learning: Engagement and Authenticity*. Athabasca: Athabasca University Press.
- Oldfield, A., Broadfoot, P., Sutherland, R., & Timmis, S. (2012). *Assessment in a Digital Age: A Research Review*. Bristol: University of Bristol.
- Westhuizen, D. (2016). *Guidelines for Online Assessment for Educators*. British Columbia: Commonwealth of Learning.

- Vai, M., & Sosulski, K. (2018). *Essentials of Online Course Design: A standards-based Guide*. NY: Routledge.
- Student Assessment. Educational blog of Angelo State University.
https://www.angelo.edu/faculty-and-staff/instructional-design/online-teaching/section_62.php
- Petriashvili, Samsonia, Akhaladze, Mikeladze, Nutov, Avad, Virkus, Lepik, Kvaratskhelia and others. Sh. (2020) Isabella Pteriashvili, Irina Samsonia, Lia Akhaladze, Diana Mikeladze, Liora Nutov, Yasser Avad, Syria Virkus, Ira Lepik, Katherine O'Mahon, Manuel Forrester, Julian Klaus Open Digital Badges. Tb., 2020 (in Georgian)
- Heinrich, Forrester, Klaus, Alt, Abramovich (2020) - Karin Heinrich, Manuel Forrester, Julian Klaus, Dorit Alt, Anat Abramovich Concept maps. Tbilisi, Meridian Publishing House, 2020. (in Georgian)
- Alt and others (2020) - Dorit Alt, Nirit Rachel, Maka Murvanidze, Marine Gognelashvili, Kerin Heinrich, Rachel Eichler, Ariela Gordon Shag, Anat Abramovich, Marian McCarthy, mutual evaluation. (in Georgian)
- Pellegrino, J. W. (2010). The Design of an Assessment System for the Race to the Top: A Learning Sciences Perspective on Issues of Growth and Measurement. Princeton: Educational Testing Service
- Perritt, E. (1997). The learning response log: An assessment tool. *The English Journal*, 86(1), 41–44.
- Wallin, P., & Adawi, T. (2017). The reflective diary as a method for the formative assessment of self-regulated learning. *European Journal of Engineering Education*, DOI: 10.1080/03043797.2017.1290585